ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №22

25 იანვარი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
10:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი.
6. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
7. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-03190226-03; 22.01.2019);

2. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-03190243-03; 24.01.2019);

3. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ“ (12-0319024170-03; 24.01.2019);

4. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ (12-03190083-03; 08.01.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - **მიხეილ ამაშუკელი.**

მომხსენებლები:

- **მერაბ მამულაშვილი** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ირინე ხაჩიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მ.ამაშუკელი - დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის მიხედვით ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში.

მ.მამულაშვილი - წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს. ცვლილებების საფუძველზე, ემატება ერთი ახალი მარშრუტი და ხდება არსებული მარშრუტების კორექტირება. ასევე, ემატება დამატებითი გაჩერებები იმ ქუჩებზე, სადაც შეზღუდულია M_2 კატეგორიის მარშრუტზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება და მგზავრების მომსახურება გათვალისწინებულია მხოლოდ M_3 კატეგორიის ავტობუსებისთვის გამოყოფილ სპეციალურ გაჩერებებზე. ამასთან, ქუჩების სახელდებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე მოხდა რიგი კორექტირებები მარშრუტების გზასავალზე არსებული ქუჩების დასახელებებში.

არსებულ მარშრუტებს ემატება ახალი მარშრუტი **№69.** ახალი მარშრუტი იმოძრავებს მ/ს „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს გადაადგილდნენ ორთაჭალის ტერიტორიაზე განთავსებულ დაწესებულებებთან და კრწანისის გამგეობასთან.

შევიდა ცვლილება რიგი მარშრუტების მოძრაობაში:

№64 მარშრუტი: - მარშრუტი ბარათაშვილის ქუჩიდან სიმონ ჩიქოვანის ქუჩის მიმართულებით, მერაბ კოსტავას ქუჩის ნაცვლად, იმოძრავებს ვარაზისხევის ქ. - ილია ჭავჭავაძის გამზირი - ნინო რამიშვილის ქ. - სიმონ ჩიქოვანის ქ. გავლით.

№80 მარშრუტი: - ჭაბუკიანის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, მარშრუტის მოძრაობა ბახტრიონის ქუჩიდან მ/ს „სადგურის მოედნის“ მიმართულებით განხორციელდება შემდეგი სახით: ბახტრიონის ქ. - დავით გამრეკელის ქ. - სულხან ცინცაძის ქ. - პეკინის გამზირი - შემდეგ არსებული სქემით, ნაცვლად: ბახტრიონის ქ. - დავით გამრეკელის ქ. - სულხან ცინცაძის ქ. - ვახტან ჭაბუკიანის ქ. - გიორგი სააკაძის მოედანი - მერაბ კოსტავას ქ. - გიორგი მიროტაძის ქ. - პეკინის გამზირი.

№159 მარშრუტი: - აღნიშნული მარშრუტი, რომელიც მოძრაობს მ/ს „ავლაბრიდან“ ,,ლილო მოლის“ მიმართულებით, გაერთიანდა მ/ს „300 არაგველიდან“ ასევე ,,ლილოს მოლის“ მიმართულებით მოძრავ №178 მარშრუტთან. მარშრუტის ნომერი დარჩა №159 და მგზავრობის ღირებულება 0,7 ლარი (ორივე მარშრუტზე მგზავრობის ღირებულება იყო 0,7 ლარი).

№220 მარშრუტი: - საირმის ქუჩიდან სადგურის მოედნამდე მოძრაობისას მარშრუტში შევიდა კორექტირება და პეკინის გამზირზე მოსახვედრად ადამ მიცკევიჩის, გამრეკელის და სულხან ცინცაძის ქუჩების ნაცვლად, იმოძრავებს ადამ მიცკევიჩის ქუჩის გავლით.

№56 მარშრუტი: - აღნიშნული მარშრუტის გზასავალს გადის №170 მარშრუტი, რის გამოც მგზავრთნაკადი გადავიდა №170 მარშრუტზე (№170 მარშრუტი გადის №56-ის გზასავალს), შესაბამისად №56 მარშრუტის ფუნქციონირება საჭიროებას აღარ წარმოადგენს. მარშრუტის ნომერი ამოღებულ იქნა სქემიდან.

რიგ მარშრუტებზე შეიცვალა მაქსიმალური რაოდენობები. ცვლილებები შეეხო ისეთ მარშრუტებს, როგორიცაა: №71 (იყო 7, გახდა 8 ერთეული), №83 (იყო 10, გახდა 11 ერთეული), №93 (იყო 4, გახდა 5 ერთეული), №95 (იყო 4, გახდა 5 ერთეული); 115 (იყო 2, გახდა 3 ერთეული),117 (იყო 29, გახდა 30 ერთეული), 119 (იყო 9, გახდა 10 ერთეული), 123 (იყო 2, გახდა 3 ერთეული),141 (იყო 22, გახდა 9 ერთეული), 159 (იყო 7, გახდა 11 ერთეული),165 (იყო 16, გახდა 17 ერთეული),183 (იყო 11, გახდა 13 ერთეული),190 (იყო 3, გახდა 4 ერთეული),194 (იყო 8, გახდა 9 ერთეული) და 223 (იყო 3, გახდა 4 ერთეული).

მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების მიზნით ავტობუსების M_2 და M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც ახორციელებენ მგზავრთა გადაყვანას, განესაზღვრათ დამატებითი გაჩერებები, ამასთან განხორციელდა გაჩერებების ადგილმონაცვლეობა და ზოგიერთ ნაწილში შეიცვალა ქუჩის სახელდება.

მ. ამაშუკელი - გაუქმებულ ერთეულებზე მომუშავე მძღოლები გადანაწილდებიან თუ არა სხვა მარშრუტებზე.

მ.მამულაშვილი - დიახ, აღნიშნული მძღოლები გადანაწილდებიან სხვა მარშრუტებზე.

ი.ჯიშკარიანი - შესაძლებელია თუ არა, რომ მ/ს „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით მოძრავი ახალი მარშრუტი დავაგრძელოთ ლეხ კაჩინსკის ქუჩამდე, იმ მიზნით, რომ მელაანის ქუჩის მოსახლეობამაც ისარგებლოს ამ მარშრუტით.

მ.მამულაშვილი - მაქსიმალურად ვცდილობთ რომ არ იყოს მარშრუტების კვეთა.

შ.ოგბაიძე - რამდენი ერთეული გამონთავისუფლდა მარშრუტებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად.

მ.მამულაშვილი - რამდენიმე ერთეული გამონთავისუფლდა, რომლებიც გადავანაწილეთ გაერთიანებულ მარშრუტებზე.

მ.ამაშუკელი - კომისიას აქვს ტექნიკური სახის შენიშვნები, რომლებსაც წერილობით ავსახავთ დასკვნაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

2. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (12-03190243-03; 24.01.2019).**

მ.ამაშუკელი - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში.

მ.მამულაშვილი - ცვლილების საფუძველზე, დადგენილების პირველი მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს „დ.ე“ ქვეპუნქტი. ხოლო პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტები კი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ე.გ) №159 მარშრუტზე - 0,7 ლარის ოდენობით;

ე.დ) №69, 123, 194, 212 მარშრუტებზე - 0,6 ლარის ოდენობით“.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დაგეგმილია ცვლილებები რიგ მარშრუტებში. კერძოდ:

1. გათვალისწინებულია №56 მარშრუტის სამარშრუტო სქემიდან ამოღება. აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ №170 მარშრუტი მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, კუს ტბის გადასახვევიდან გაგრძელებული იქნა ილია ჭავჭავაძის გამზირი №83-ის მიმართულებით, რის გამოც №56 მარშრუტი, რომელიც მოკლე მანძილზე ვაკის სასაფლაოდან ანალოგიურად გადიოდა იმავე მონაკვეთს, მგზავრთნაკადის გადანაწილების გამო უფუნქციო გახადა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მისი სამარშრუტო სქემიდან ამოღების საკითხი.

2. მარშრუტები №159 (მ/ს „ავლაბარი“ - ლილო მოლი“) და №178 (მ/ს „300 არაგველი“ - ლილო მოლი) გაერთიანდა და მარშრუტის მოძრაობა განისაზღვრა მ/ს „ავლაბარი“-დან ლილო მოლის მიმართულებით. შესაბამისად,

გაერთიანებული მარშრუტის ნომრად დარჩა №159, ხოლო №178 ამოღებული იქნა სამარშრუტო სქემიდან.

3. №69 არის ახალი მარშრუტი, რომელიც იმოძრავებს მ/ს „300 არაგველის“ მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შპს „ფაბლიქ ქარ“-ის პოზიცია მგზავრობის ტარიფის განსაზღვრაზე 0,6 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა „საქართველოს დედაქალაქის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

3. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების შესახებ“ (12-0319024170-03; 24.01.2019).**

მ.ამაშუკელი - რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსის დანიშვნის საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის მიერ. კერძოდ, მერიაში გადაგზავნილი იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ლევან ონიანის 2019 წლის 15 იანვრის წერილი, სადაც იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავდა თხოვნით ქალაქ რუსთავში მცხოვრები მოქალაქეების სატრანსპორტო მომსახურების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, რუსთავიდან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მ/ს „ისნამდე“ მოძრაობის განხორციელების მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტის დამტკიცების თაობაზე.

მ.მამულაშვილი - როგორც მოგეხსენებათ გაიზარდა ტარიფი რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მოძრავი M_2 კატეგორიის ტრანსპორტზე. რის გამოც, მოსახლეობის

საჭიროებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დადგა ავტობუსების დანიშვნის საკითხი. ტრანსპორტი ეკუთვნის რუსთავის თვითმმართველობას, ჩვენ უბრალოდ ვაძლევთ ნებართვას თბილისის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ და ვამტკიცებთ გზასავალს.

დ.უჯმაჯურიძე - თბილისის ტერიტორიაზე სად იქნება ბოლო გაჩერება.

მ.მამულაშვილი - აღნიშნული ავტობუსების ბოლო გაჩერება განისაზღვრა მეტრო „ისნის“ მიმდებარედ, რათა რუსთავიდან თბილისის მიმართულებით მომავალ მგზავრს შემდგომში გაუადვილდეს გადაადგილება თბილისის ტერიტორიაზე.

შ.ოგბაიძე - M_3 კატეგორიის ტრანსპორტისთვის განკუთვნილ გაჩერებებზე გააჩერებენ თუ არა აღნიშნული ავტობუსები.

მ.მამულაშვილი - ჩვენ ვამტკიცებთ ჩვენს ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობის მარშრუტს, ვაძლევთ უფლებას დედაქალაქის გაჩერებებზე გაჩერდეს, აიყვანოს მგზავრი. აღნიშნულთან დაკავშირებით გავიარეთ კონსულტაცია კომპანია „სისტრასთანაც“. დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია დანართები (დანართი 1 და დანართი 2), სადაც დეტალურად არის გაწერილი ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტი და შესაბამისი გაჩერებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 7; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ,,საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ (12-03190083-03; 08.01.2019)**

მ.ამაშუკელი - როგორც მოგეხსენებათ ქალაქ თბილისის 2019 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“ (კოდი: 06 02 11). გამომდინარე აქედან, ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ ყოველწლიურად ხდება წესის დამტკიცება. დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შინაარსობრივ ცვლილებებს.

ი.ხაჩიძე - მოცემული ქვეპროგრამის მიხედვით: M2 კატეგორიის იმ ავტობუსებით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი მგზავრობის ფასის გათვალისწინებით, შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად უნდა განხორციელდეს თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა)მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ)საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ)სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების ვეტერანები; ე)მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები“.

მ.ამაშუკელი - მაინტერესებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 80 000 ქულით რეგისტრირებულ მოქალაქეებს რატომ არ ეხებათ წარმოდგენილი შეღავათები. მათაც ხომ თითქმის იგივე მდგომარეობა აქვთ, როგორც 70 000 სარეიტინგო ქულის მქონე მოქალექეებს.

მ.მამულაშვილი - ამ ეტაპზე ბიუჯეტი არ გვაძლევს საშუალებას რომ შეღავათები გარდა დადგენილებით გათვალისწინებული პირებისა, გავავრცელოთ სხვა კატეგორიებზეც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6; თავი შეიკავა - 1, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის შემუშავებული დასკვნა „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ ამაშუკელი